

გირავნობის სპეციფიკური (არაკლასიკური) საგნები, მათზე გირავნობის  
უფლების წარმოშობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული  
სამართლებრივი ასპექტები

ანი აფციაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო  
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გლაზოვი (მაგისტრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## აბსტრაქტი

ნაშრომი ეთმობა გირავნობის სპეციფიკურ, არაკლასიკურ საგნებს, თუმცა დასაწყისში წარმოდგენილია გირავნობის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, როგორც საქართველოს ისე უცხო ქვეყნების სამართალზე დაყრდნობით. სამართლის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას რომი და რომაული სამართალი წარმოადგენს, მის კვალდაკვალ კი განხილულია საქართველოს უძველესი სამართლის წყაროები და ის დანატოვარი, რომელიც ისტორიამ დღემდე შემოგვინახა. მოკლე ექსკურსის შემდეგ კი ნაშრომი ეთმობა გირავნობის სპეციფიკურ საგნებს.

კვლევის საგანს წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა, იარაღზე გირავნობა, მცურავი და მფრინავი საშუალებების გამოყენება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ცხოველისა და ელექტროენერგიის დაგირავება. სად ხდება აღნიშნულ საგნებზე გირავნობის უფლების დარეგისტრირება, არის თუ არა ესა თუ ის საგანი ნივთი და წარმოადგენს თუ არა იგი გირავნობის ობიექტს, რამდენად არის დღევანდელი ჩვენი კანონმდებლობა მზად იმისთვის, რომ ჩვეულებრივმა მოქალაქემ შეუფერხებლად მოახდინოს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ საგანზე გირავნობის უფლების რეგისტრაცია.

კვლევის შედეგად მიღებული შედეგები, აუცილებელია, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და ცნობილი გახდეს, რადგან ბევრს ვერც წარმოუდგენია, ან შესაძლოა არასწორი ინფორმაცია აქვს ზემოთ ჩამოთვლილ საგნებთან მიმართებით, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებთან. შესაბამისად ნაშრომის მიზანიც ის არის, რომ კვლევის შედეგები ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს და გაეცეს პასუხები გაუცემელ კითხვებს.

**საძიებო სიტყვები:** გირავნობის ისტორია, იარაღზე გირავნობა, მცურავ საშუალებებზე გირავნობა, ცხოველზე გირავნობა, ელექტროენერგია როგორც გირავნობის ობიექტი, სპეციფიკურ საგნებზე მარეგისტრირებელი ორგანოები.

## Abstract

The work is devoted to specific subjects of pledge, but at the beginning of the work there is the history of the pledge, its stages of development, for example in Georgia or in foreign countries. The ancient country of law is Rome and Roman law, therefore Georgian law is based on it. The paper also focuses at the ancient sources of law in Georgia. After this the work is devoted to specific subjects of pledge.

The research topic was about important things like weapons lien, floating and flying means for securing the claim, how to pledge the animals and the electricity. Which registration facility is authorized to register these rights. Are some of the specific objects the items or not, and can we register them like the lien objects. Is our country civil law ready to make lease rights on these unusual things.

After research we received important conclusions, which is necessary to bring to society and become available for everyone. Many people do not know that they can use these rights on the specific items and pledge them, it is possible that people have the wrong imagins about this. Therefore the reason why I decided to research this topic, there were various questions which are answered by researching and it is important to bring it to society.

**Key words:** lien history, Weapons pledge, floating pledge, Animal pledge, Electricity pledge, Specific subjects of the registration authorities.

## აბრევიატურების ჩამონათვალი

ე.წ ეგრედ წოდებული

ა.შ ასე შემდეგ

სსკ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი